

პარიზი, 2011 წლის 7 ნოემბერი

ბ-ნ გიგი უგულავას
თბილისის მერია
შარტავას ქუჩა 7
0160 თბილისი
საქართველო

ღია წერილი თბილისის მერს

ბატონო მერო,

მსურს გამოვხატო ჩემი ღრმა შეშფოთება საქართველოში, განსაკუთრებით კი დედაქალაქ თბილისში, მოხეტიალე ცხოველებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ.

ყოველწლიურად ათასობით ცხოველი იხოცება თბილისში საშინელ პირობებში, ელემენტარული მინიმალური მგრძობელობის გარეშე. მოხეტიალე ცხოველების ეს მასიური ხოცვა, რომელიც სახელმწიფო სახსრებით ფინანსდება, მხოლოდ ცხოველთა ზედმეტი პოპულაციის პრობლემის ეფექტს შეეხება ისე, რომ მის გამომწვევ მიზეზებს არ ებრძვის. ასე, რომ იგი უშედეგოა და არავითარ შემთხვევაში არ ნარმოადგენს ცხოველთა პოპულაციის მართვის საშუალებას, როგორც ეს დადასტურდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ეს არაადამიანური მეთოდები პირიქით, იწვევს ცხოველთა პოპულაციის დესტაბილიზაციას, მოხეტიალე ცხოველების რიცხვის ხელოვნურ ზრდას და ამ ცხოველების ნებისმიერ სანიტარულ კონტროლს შეუძლებელს ხდის.

მტკიცედ ვგმობ ამ სასტიკ და ამავე დროს არაეფექტურ პრაქტიკას და მოგმართავთ თხოვნით, დაინყოთ დიალოგი თქვენი ქვეყნის ასოციაციებთან და პროფესიონალებთან, რათა მაქსიმალურად სწრაფად განისაზღვროს თბილისში მოხეტიალე ცხოველების მართვის ცივილიზებული და მდგრადი პროგრამა, რომელიც შემდეგ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული:

- მოხეტიალე ცხოველების ხოცვის დაუყოვნებლივ შეწყვეტა
- ცხოველებთან მუშაობის პროფესიონალიზებული ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც პატივისცემით მოეპყრობა ცხოველთა ტანჯვას
- ცხოველთა თავშესაფრის გახსნა, რომლის მართვაც დაევალება არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ცხოველების დაცვაზე მუშაობენ და რომელთა საქმიანობაც არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაკავშირებული კომერციულ კომპანიებთან
- ვაქცინაციის, სტერილიზაცია/კასტრაციისა და დაჭერილი ცხოველების იდენტიფიცირების პროგრამის დანერგვა
- საზოგადოების მგრძობელობის ასამაღლებლად პროგრამების შემუშავება, რათა გაადვილდეს იდენტიფიცირებული ცხოველების შვილება ან თავისუფლებაში გაშვება.

დიდი იმედი მაქვს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი შეძლებს განახორციელოს ქალაქში მოხეტიალე ცხოველების პოპულაციის ეთიკური მართვა ადგილობრივ და საერთაშორისო ასოციაციებთან თანამშრომლობით და ცხოველთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბრიჯიტ ბარდო
პრეზიდენტი

ასლი: ბ-ნ ზაალ სამადაშვილს
თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს